

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

---14-- -----06----- 2016 წელი

ეგზ. №1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში N: 35/36

2016 წელი

სარჩევი

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებები	2
მნიშვნელოვანი შედეგები	3
შესავალი ნაწილი	5
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა	6
1. ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა-ანგარიშგება.....	8
1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება. საბიუჯეტო განაცხადები.....	9
1.2 ბიუჯეტის ცვლილებები	9
1.3 ბიუჯეტის შესრულება	10
2. მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები	10
2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	11
2.2 შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგება.....	12
2.3 სატენდერო კომისიის საქმიანობა	13
2.4 გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები.....	15
2.5 დაუსაბუთებლად გადახდილი დღგ	15
2.6 საჯარიმო სანქციები	16
2.7 გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები.....	18
3. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები	19
4. მშენებლობის ნებართვები.....	21
5. ტრანსპორტი და საწვავის ხარჯი.....	21
6. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	24
7. ა(ა)იკ-ების დაფუძნება და საქმიანობა	24
8. შტატგარეშე მოსამსახურეთა დაქირავება	26
9. სოციალური დახმარება	26
9.1 სასაქონლო (პროდუქტებით) დახმარება	27
9.2 სათბობი შეშის გაცემა.....	27
10. ქონების განკარგვა.....	28
11. აღრიცხვა-ანგარიშგება, ინვენტარიზაცია.....	28
12. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა.....	29
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	30
აუდიტის ჯგუფის წევრებზე ღმობის წერები	30

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - მუნიციპალიტეტი.
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა - გამგეობა.
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო - საკრებულო.
4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია - სატენდერო კომისია.

მნიშვნელოვანი შედეგები

❖ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015 წელს ორ შემთხვევაში დაარღვია საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, ბიუჯეტის ცვლილებები ერთი თვის ვადაში არ წარუდგინა საკრებულოს. (გვ. 9)

❖ გამგეობას საკრებულოში 2014 წლის II კვარტლისა და 2015 წლის III კვარტლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა არ წარუდგენია. 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ მოიცავს განმარტებებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება. (გვ. 10)

❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა მონეტარული ზღვრების და/ან დამტკიცებული გეგმის დარღვევით განახორციელა 14 სახელმწიფო შესყიდვა, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 203.2 ათასი ლარი. შესყიდვების წლიური გეგმის შეუსაბამოდ ჩატარდა 363.3 ათასი ლარის ღირებულების 84 სახელმწიფო შესყიდვა. (გვ. 11-12)

❖ 2014 წელს გამგეობის მიერ დადებულია 134 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომლებიც შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ არის განთავსებული. 171 გამარტივებული შესყიდვისა და 123 სატენდერო ხელშეკრულება რეგისტრირებულია დაგვიანებით, გაფორმებიდან 10 დღის ვადის გასვლის შემდეგ. 2014-2015 წლებში, 461 ხელშეკრულებიდან სისტემაში ატვირთულია მხოლოდ 2 ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (გვ. 12-13)

❖ სატენდერო კომისიამ, შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით, არასწორად მოახდინა ერთ-ერთი მონაწილის დისკვალიფიკაცია. კერძოდ, ტექნიკურ დოკუმენტაციის დაზუსტებისას, პრეტენდენტს არ მიუთითა ხარჯთაღრიცხვის ხარვეზის შესახებ. შედეგად, ხელშეკრულება გაფორმდა უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტთან და სამუშაოს ღირებულება 20.0 ათასი ლარით გაიზარდა. (გვ. 14)

❖ მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა არასწორად შეისყიდა, დღგ-ის ჩათვლით. გამგეობამ მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება სულ 103.0 ათასი ლარი, მათ შორის, დღგ - 14.3 ათასი ლარი. (გვ. 15)

❖ მუნიციპალიტეტმა 2014-2015 წლებში 23 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებს დაარიცხა 231.0 ათასი ლარის პირგასამტეხლო. ამასთან, გამგეობამ 19 შემთხვევაში საჯარიმო სანქციები არ გამოიყენა, რის გამოც ვერ მიიღო 63 ათას ლარზე მეტი შემოსავალი. (გვ. 16-17)

❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს, დარიცხული საჯარიმო სანქციებიდან, არ მიუღია 172.0 ათასი ლარი: 7 ხელშეკრულების შემთხვევაში საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმდა და ანგარიშსწორება განხორციელდა მიმწოდებლების მხრიდან საჯარიმო თანხების გადახდამდე. ანაზღაურების მიღების შემდეგ მიმწოდებელთა ნაწილმა 31.4 ათასი ლარის პირგასამტეხლო აღარ გადაიხადა. გარდა ამისა, გამგეობამ შპს „არქიტექტურას“ გადაუვადა სულ 140.6 ათასი ლარის ჯარიმის გადახდის ვალდებულება. (გვ. 17-18)

❖ მუნიციპალიტეტმა, 2014-2015 წლებში, გამარტივებული შესყიდვის 154 ხელშეკრულებით, შეიძინა 1 006.9 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები. 2014 წელს, 3 ხელშეკრულების ფარგლებში, 7.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთოდ არაა წარმოდგენილი. 59 ხელშეკრულებისათვის არ არის ხელფასის ან ტრანსპორტის ხარჯის დოკუმენტები. (გვ. 18)

❖ 2014 წელს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტს 892.0 ათასი ლარი გამოეყო. საკრებულომ ხელშეკრულების გასაფორმებლად რეკომენდაცია გაუწია შპს „მშენებელი-2006“-ს. შესყიდვის ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით, მიმწოდებელს სამუშაოს შესრულების გამოცდილება არ აქვს. საკრებულომ მიმწოდებლის შერჩევის კრიტერიუმად გამოიყენა 2006 წელს შესრულებული სამუშაოები. (გვ. 19)

❖ სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისათვის, გამგეობამ ვერ დაასაბუთა, რამ განაპირობა სულ 2937 კუბ.მ. ინერტული მასალის ზიდვის დაგეგმვა 22 კმ მანძილიდან. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ დოკუმენტებში მიმწოდებელმა ზიდვის მანძილად 9-10 კმ მიუთითა, თუმცა ფორმა №2-ის შესაბამისად ჩარიცხული თანხა და ექსპერტის მიერ დადასტურებული ფაქტობრივი დანახარჯები იდენტურია. (გვ. 20)

❖ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს. საკრებულოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ და გამგებელმა 2014-2015 წლებში იჯარის ხელშეკრულებები გააფორმეს გამგეობასთან, მათივე საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მომსახურების მიზნით. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობასა და მოვლა-შენახვაზე გამგეობამ 2014-2015 წლებში კანონშეუსაბამოდ გასწია სულ 18.4 ათასი ლარის ხარჯი. (გვ. 21)

❖ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, 2014-2015 წლებში ამბროლაურის თვითმმართველ ერთეულს მოხელეთა სამსახურებრივი მიმოსვლისათვის უნდა გამოეყენებინა არაუმეტეს 6 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა. 2015 წელს მუნიციპალიტეტმა მთავრობის სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნა არ გაითვალისწინა. (გვ. 22)

❖ შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“-ს თხოვნის უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული სპეცტექნიკა. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს მიმართ ტექნიკის დამქირავებელთა დებიტორული დავალიანება 41.1 ათას ლარს, ხოლო 2015 წლის ბოლოს - 23.1 ათას ლარს შეადგენდა. (გვ. 23)

❖ ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიზნით, 2014-2015 წლებში გამგეობამ საკრებულოს წევრებზე გასცა სულ 87.2 ათასი ლარი. ხარჯის დასადასტურებლად არ არის წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები. (გვ. 24)

❖ მუნიციპალიტეტმა დაარღვია თვითმმართველობის კოდექსით დაწესებული ზღვარი, შტატგარეშე მოსამსახურეების რიცხოვნობასთან დაკავშირებით. 2015 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა ერთიდან ოთხამდე ერთეულით აღემატებოდა კანონით დადგენილ ნორმას. (გვ. 26)

❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული საშემე მერქანი მოსახლეობაში განაწილებულია ხარვეზებით. კომისიური წესით დადგენილი სიის 14 ბენეფიციარზე დახმარების გაცემა დოკუმენტებით არ დასტურდება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, 6 ბენეფიციარი არ იმყოფებოდა სოფელში და შეშა ინახება თემის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო 8 ბენეფიციართან მიღება-ჩაბარების აქტები არ გაფორმებულა. (გვ. 27)

❖ კვების ობიექტის ასაშენებლად, მუნიციპალიტეტმა 2013 წელს გაასხვისა სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე 2202 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. გამგეობამ ობიექტისათვის ელ. ენერგიისა და სასმელი წყლის მიწოდების ვალდებულება აიღო და 2015 წელს გასწია 41.5 ათასი ლარის ხარჯი, თუმცა ვერ მიიღო დაგეგმილი შედეგი. (გვ. 28)

❖ კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალიტეტი 2014-2015 წლებში არ ახორციელებდა ფინანსურ აღრიცხვას. არ ადგენდა პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. 2015 წლის ბოლოს არ ჩატარებია ინვენტარიზაცია. (გვ. 28)

❖ გამგეობამ ვერ წარმოადგინა შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმები. გარდა ამისა, სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა. გამგეობამ ვერ დაასაბუთა, რატომ არ დაიგეგმა და განხორციელდა აღნიშნული სტრუქტურების შიდა აუდიტორული შემოწმება. (გვ. 29)

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2014-2015 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში ასევე აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2014-2015 წლების განმავლობაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულება - ჯამში 13 118.4 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებას, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული

ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2014-2015 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 69 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1140.4 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 8.9 ათას კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბროლაური.

თვითმმართველი თემი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი შეიქმნა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით², ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“³, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით. კანონმდებლობით თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება;
- საჯარო ადგილების დასუფთავება, ნარჩენების მართვა, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა, წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა;
- კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება;
- სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. <http://geostat.ge>

² საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №2205-III მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ

³ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე თვითმმართველი ერთეულების საქმიანობა რეგულირდებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, სამამულო ომის მონაწილეთა დახმარება და გარდაცვლილი ომის ვეტერანის უკვდავყოფისათვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2014-2015 წლებში შემოსულობებმა შეადგინა 12 990.4 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელების საკასო შესრულებამ - 13 118.4 ათასი ლარი.

ცხრილი 1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2014	2015	ჯამი
შემოსულობები	6 355.3	6 635.1	12 990.4
შემოსავლები	6 344.7	6 617.0	12 961.7
არაფინანსური აქტივების კლება	10.6	18.1	28.7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	5 994.5	7 123.9	13 118.4
ხარჯები	4 260.8	3 212.6	7 473.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 703.2	3 911.3	5 614.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	30.5	0	30.5
ნაშთის ცვლილება	360.8	-488.8	-128.0

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების თანახმად, 2014-2015 წლებში გადასახდელების 57% მოიცავს ხარჯებს. არაფინანსური აქტივების ზრდა 42.8%-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 0.2%. მუნიციპალიტეტის ხარჯებში მნიშვნელოვანი მოცულობით გამოირჩევა შრომის ანაზღაურება (33%), საკონელი და მომსახურება (26%) და სუბსიდიები (25%).

დიაგრამა 1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხარჯები (ათასი ლარი)




1. ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა-ანგარიშგება

ზოგადი მიმოხილვა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შესაბამისად, 2014-2015 წლებში შემოსულობების 99.8%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 0.2%-ია. შემოსულობების 83% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებია, რომელმაც 2014 წელს 5 364.4 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 5 448.2 ათასი ლარი შეადგინა. ტრანსფერების გარდა, შემოსავლები ძირითადად მიღებულია მოსაკრებლიდან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის⁴ - 967.0 ათასი ლარის და ქონების გადასახადიდან - 849.4 ათასი ლარის ოდენობით (სულ შემოსულობების 14%).

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დიაგრამა 2. ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2014-2015 წლებში (ათასი ლარი)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდისათვის ბიუჯეტიდან გაცემული სახსრების 28%-ით დაფინანსდა ეკონომიკური საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც შეკეთდა ხიდეები და გზები, მოეწყო წყლის სათავე ნაგებობები და გარე განათება, განახლდა წყალსადენები და სხვ. მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ასევე საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 25%. აღნიშნული მუხლიდან დაფინანსდა 10-ზე მეტი საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია. 3160.0 ათასი ლარი დაიხარჯა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე (გადასახდელების 24%), რომელიც ძირითადად წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას მოიცავს. გადასახდელების დაახლოებით 1%-ით ფინანსდება გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, თავდაცვა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ღონისძიებები⁵.

⁴ სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული, არამერქნული რესურსებით და მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა.

⁵ მათ შორის, თავდაცვა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ღონისძიებები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერითაც.

1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება. საბიუჯეტო განაცხადები

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობას თვითმმართველი ერთეული იწყებს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრულია წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და ვადები. კანონმდებლობით დადგენილია პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურაც.

ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას, საფინანსო სამსახურმა საბიუჯეტო ორგანიზაციებს უნდა დაუზღავნოს საბიუჯეტო განაცხადები ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით⁶.

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენის, ბიუჯეტის შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით გაწეული საქმიანობა ხასიათდება ხარვეზებით. კერძოდ, გამგეობამ ვერ წარმოადგინა 2014-2015 წლებში პრიორიტეტების მოსამზადებლად გამოცემული სამართლებრივი აქტი. 2014-2015 წლების პრიორიტეტების დოკუმენტები არ მოიცავს მიმდინარე წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ პროგნოზებს, საშუალოვადიანი პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებსა და მიზნებს.

აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტისათვის მოსამზადებელი 9 საბიუჯეტო განაცხადიდან 7, ასევე 2015 წლის განაცხადები.

1.2 ბიუჯეტის ცვლილებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის⁷ მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, ცვლილებები ერთი თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

გამოვლენილი გარემოება: გამგეობამ 2015 წელს ორ შემთხვევაში დაარღვია საბიუჯეტო კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა. კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის განკარგულებით⁸, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა - 2 517.4 ათასი ლარი შემცირდა და განისაზღვრა 2 472.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილების პროექტი საკრებულოს წარედგინა დაგვიანებით - 18 აგვისტოს, 39 დღეში, ნაცვლად ერთი თვის ვადისა. აღსანიშნავია, რომ 10 ივლისის შემდეგ საკრებულომ ორჯერ შეცვალა ბიუჯეტი, თუმცა ფონდებიდან გამოყოფილი თანხის მაჩვენებელი წლის ბოლომდე დარჩა უცვლელი.

- 2015 წლის 10 ნოემბერს, მთავრობის განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა დაზუსტდა და განისაზღვრა 2 325.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილების პროექტი გამგეობამ საკრებულოს წარუდგინა 15 დღის დაგვიანებით.

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პუნქტები 3-4; მუხლი 77, პუნქტი 3.

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 69, პუნქტი 5.

⁸ №1504.

1.3 ბიუჯეტის შესრულება

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს აღმასრულებელი ორგანო. ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს უნდა წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, ნაზარდი ჯამით, კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად.

წარმომადგენლობით ორგანოს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ეგზავნება საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა. ანგარიში უნდა მოიცავდეს განმარტებებს, თუკი დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება⁹.

გამოვლენილი გარემოება: გამგეობის მიერ ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვის წარდგენის პროცესი ხასიათდება ხარვეზებით:

- 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის მიმოხილვა საკრებულოში წარდგენილია დაგვიანებით, 8 მაისს. 2014 წლის I და III კვარტლების, ასევე 2015 წლის I და II კვარტლების ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვები არ მოიცავდა მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. გარდა ამისა, 2015 წლის I და II კვარტლების ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვები არ შეიცავს ნაშთის ცვლილების შედარებას გეგმიურ მაჩვენებლებთან.

- 2014 წლის II კვარტლისა და 2015 წლის III კვარტლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა საკრებულოსთვის არ წარდგენილა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები არ შესრულდა 1 020.4 ათასი ლარით (გეგმა - 5 466.2 ათასი ლარი; ფაქტი - 4 445.9 ათასი ლარი, შესრულება 81%); საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა შესრულდა 54%-ით; სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია შესრულდა 60%-ით; ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დახმარება, კერძოდ ტრანსპორტით გადაადგილება - 63%-ით.

გამგეობის მიერ შედგენილი 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ მოიცავდა განმარტებებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება. მიუხედავად აღნიშნულისა, საკრებულომ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარდგენილი დოკუმენტი.

2. მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

ზოგადი მიმოხილვა: 2014-2015 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაო, საქონელი და მომსახურება მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 301 გამარტივებული შესყიდვის, 16 კონსოლიდირებული ტენდერის, 114 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და 30 ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. სულ 461 ხელშეკრულების შესრულებაზე გადახდილია 6 821.6 ათასი ლარი.

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 81, პუნქტი 1; მუხლი 85; მუხლი 87.

ცხრილი 2. სახელმწიფო შესყიდვების სტატისტიკა (ათასი ლარი)

შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	ფაქტობრივად გადახდილი თანხა	ხელშეკრულების რაოდენობა	ფაქტობრივად გადახდილი თანხა	სულ ხელშეკრულების რაოდენობა	სულ თანხა
	2014 წელი		2015 წელი			
გამარტივებული შესყიდვა	134	1 609.6	167	540.5	301	2 150.1
კონსოლიდირებული ტენდერი	6	40.4	10	60.0	16	100.4
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	47	427.7	67	2 615.4	114	3 043.1
ელექტრონული ტენდერი	22	1 328.8	8	199.2	30	1 528.0
სულ:	209	3 406.5	252	3 415.1	461	6 821.6

2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹⁰, მუნიციპალიტეტს 5 ათას ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა შეუძლია გამარტივებული ფორმით. 200 ათას ლარამდე ღირებულების შესყიდვები ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ხოლო 200 ათასი ლარის ან მეტი ღირებულების - ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების და/ან დამტკიცებული გეგმის დარღვევით ჩაატარა 14 სახელმწიფო შესყიდვა, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 203.2 ათასი ლარი. მათ შორის, 6 შემთხვევაში¹¹ ტენდერის ნაცვლად გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის, ხოლო 8 შემთხვევაში¹² - ელექტრონული ტენდერის ნაცვლად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალება. მაგალითად, 2015 წლის 24 აგვისტოს, გამგეობამ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა სოფელ ზედა სხარტალის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 29.3 ათასი ლარი. ამ დროისათვის გამგეობას 2 558.6 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოებზე უკვე გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულებები. ამდენად, შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებული პარამეტრების გადაჭარბებით, გამგეობამ განახორციელა 47 სახელმწიფო შესყიდვა¹³, თანხით 251.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ გეგმის კორექტირება შემდგომშიც არ მომხდარა. მაგალითად, 2015 წლის შესყიდვების წლიური გეგმით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენდა 38.1 ათას ლარს.

¹⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები №13, 17.08.2015, №2, 10.02.2011.

¹¹ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყოფის შემდეგ - №21; 2015 წელი - №№56,179,189,193,221.

¹² ხელშეკრულებები: 2015 წელი - №№185,188,199, 218-220,223,254.

¹³ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყოფის შემდეგ - №28; 2015 წელი - №№84,85,87,97-100,103,108,110-112,114-118,121,124,127,129,137-143,149,159,162,166,169,176-178,184,205,211,215,216,221,229,232,235,249.

მიუხედავად ამისა, გამგეობამ აღნიშნული სამუშაოები ფაქტობრივად 156.7 ათასი ლარის ოდენობით შეისყიდა.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ 51.7 ათასი ლარის ღირებულების 20 სახელმწიფო შესყიდვა¹⁴ ჩაატარა შესყიდვების დამტკიცებულ გეგმაში ასახვის გარეშე. მაგალითად, 2015 წლის 9 ოქტომბერს გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა სპორტული საქონლისა და აღჭურვილობის (ქუჩის ტრენაჟორები) შეძენის მიზნით, ღირებულებით 9.5 ათასი ლარი. აღნიშნული საქონლის შესყიდვას დამტკიცებული გეგმა არ ითვალისწინებდა.

2015 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე და გააფორმა 17 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 60.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შესყიდვები არ იყო გათვალისწინებული შესყიდვების გეგმით, ხოლო ასიგნება, რითაც ხელშეკრულებები ანაზღაურდა, ასახული იყო სხვადასხვა ა(ა)იპ-ის სუბსიდიების მუხლში.

2.2 შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგება¹⁵

კრიტერიუმი 1: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹⁶, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადებული ხელშეკრულება (ცვლილება), უნდა განთავსდეს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან (ცვლილებიდან) არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების ან შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა, შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების მხრივ, არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს:

- წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წელს გამგეობამ გააფორმა 134 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ეს ხელშეკრულებები არ არის განთავსებული.

- გამგეობა ხელშეკრულების მოქმედებისა და სამუშაოს შესრულების ვადების, ასევე ხარჯთაღრიცხვების კორექტირებას აფორმებს ხელშეკრულების ცვლილების სახით. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული დოკუმენტები ატვირთული არ არის.

- 2014-2015 წლებში 171 გამარტივებული შესყიდვისა და 123 სატენდერო ხელშეკრულება სისტემაში რეგისტრირებულია დაგვიანებით, გაფორმებიდან 10 დღის ვადის გასვლის შემდეგ. მაგალითად, გამგეობამ 2014 წლის 18 სექტემბერს გააფორმა №11 ხელშეკრულება, ღირებულებით 15.8 ათასი ლარი, ხოლო სისტემაში ატვირთა 379 დღის დაგვიანებით, 2015 წლის 2 ოქტომბერს.

- წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა გააფორმა 461 ხელშეკრულება. მათ შორის, შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია მხოლოდ 2

¹⁴ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყოფამდე - №№13,23,79,91,118,148,156; 2014 წელი, გაყოფის შემდეგ - №№32,47; 2015 წელი - №№3,17,36,41,59,64,96,158,181,196,210.

¹⁵ შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან მონაცემები აღებულია 2015 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით.

¹⁶ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, მუხლი 5. 03.07.2015-მდე სისტემაში აიტვირთებოდა ინფორმაცია ფაქტობრივი გადახდების შესახებ.

ხელშეკრულების¹⁷ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია დანარჩენ 459 ხელშეკრულებაზე სისტემაში არ არის განთავსებული.

კრიტერიუმი 2: მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო იხილავს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხს¹⁸.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 3 შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან ერთი მიმწოდებლის¹⁹ შესახებ შესყიდვების სააგენტოს აცნობა დაგვიანებით, ხოლო ორ მათგანზე²⁰ საერთოდ არ მიაწოდა ინფორმაცია. მაგალითად, შემსყიდველის ინიციატივით, შპს „არქიკულტურას“ №163 ხელშეკრულება შეუწყდა 2015 წლის 23 დეკემბერს. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით, აუდიტის ობიექტმა სააგენტოს არ მიმართა. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, 2016 წლის 21 აპრილის მდგომარეობით, შპს „არქიკულტურა“ მონაწილეობდა სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ 8 ტენდერში²¹, რომელთა ჯამური სავარაუდო ღირებულება 6 402.3 ათასი ლარია. მათ შორის, საწარმომ გაიმარჯვა 2 ტენდერში და გაუფორმდა 1 212.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.

2.3 სატენდერო კომისიის საქმიანობა

კრიტერიუმი 1: სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია ვადები და რეგულაციები, რომელიც ვრცელდება სატენდერო კომისიისა და აპარატის საქმიანობის ყველა ეტაპზე. მათ შორის, სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსებიდან, ხელშეკრულების საბოლოო შესრულებამდე²².

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის საქმიანობა ხასიათდება ხარვეზებით. კომისიას არ აქვს დაწესებული კონტროლი ხელშეკრულებების გაფორმების, ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების, საოქმო გადაწყვეტილებების სისტემაში ატვირთვის ვადების დაცვაზე და სხვ. კერძოდ:

- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა პრეტენდენტთან ხელშეკრულებები გააფორმა არასწორ ვადაში, კერძოდ, სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან მომდევნო სამ დღეში ან 5 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ²³;

- 2015 წელს გამგეობამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²⁴ სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო კვებით მომსახურებაზე. სატენდერო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 30 სექტემბერს, ხოლო ტექნიკური

¹⁷ SPA150030675, SPA150018037.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება, მუხლი 24, პუნქტი 2; 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება, მუხლი 3.4.

¹⁹ ხელშეკრულება №165, 11.07.2014.

²⁰ ხელშეკრულებები: №97, 14.05.2014; №163, 08.07.2015.

²¹ SPA16000544, SPA160001008, SPA160004864, SPA160004893, SPA160004894, SPA160005687, SPA160005895, SPA160008689.

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება.

²³ SPA140015529, SPA150023305; SPA140023250.

²⁴ SPA150025999.

დოკუმენტაცია, ნაცვლად 5 სამუშაო დღისა, კომისიამ შეაფასა 16 სამუშაო დღის შემდეგ, 21 ოქტომბერს.

- 2014-2015 წლების განმავლობაში, 46 სახელმწიფო შესყიდვისას, აუდიტის ობიექტმა, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, იმავე დღეს არ ატვირთა კომისიის სხდომის ოქმები;

- 2014 წელს, 3 შესყიდვის შემთხვევაში, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტებს, კანონმდებლობის დარღვევით, განმეორებით დააზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია²⁵; გარდა ამისა, 2015 წელს, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების ვადის დარღვევის გამო, 3 შესყიდვის შემთხვევაში არ მოახდინა პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია²⁶.

- 2015 წლის 9 მარტს გამგეობამ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა სოფელ ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვაზე²⁷, სავარაუდო ღირებულებით 12.1 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობდა 3 პრეტენდენტი, საიდანაც სატენდერო კომისიამ მოახდინა 2 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. მესამე პრეტენდენტის სატენდერო დოკუმენტაციის განხილვის ნაცვლად, კომისიამ 2015 წლის 7 აპრილის საოქმო გადაწყვეტილებით ტენდერს მიანიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ იმ მიზეზით, თითქოს სხვა წინადადება არ ყოფილა წარმოდგენილი. სატენდერო კომისია შედეგების განხილვას დაუბრუნდა 1 თვის შემდეგ. შესყიდვების სააგენტოს მიერ ტენდერის სტატუსის უკან დაბრუნების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება მესამე პრეტენდენტთან გააფორმა.

- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა 2 ტენდერი, საერთო ღირებულებით 30.2 ათასი ლარი, რომელთაც შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში სტატუსი არასწორად აქვთ მინიჭებული²⁸. მაგალითად, 2014 წლის 29 სექტემბერს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე. პრეტენდენტმა დაზუსტებული ფასების ცხრილი ატვირთა 13 ოქტომბერს და დოკუმენტაციის შემდგომი მოძრაობა არ ჩანს. ტენდერს ისევ მინიჭებული აქვს სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“. წარმოდგენილი ინფორმაციით კი, გამგეობამ 2014 წლის 15 ოქტომბერს მიმწოდებელთან გააფორმა №16 ხელშეკრულება და მოახდინა შესაბამისი ანგარიშსწორება.

კრიტერიუმი 2: „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად²⁹, სატენდერო კომისია მიმართავს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2015 წლის 26 ივნისს ელექტრონული ტენდერი³⁰ გამოაცხადა სოფელ ბოსტანა-ღვიარის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 231.8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ წერილით მიმართა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „ჯორჯიან პლასტიკს“, რათა ხარჯთაღრიცხვა საბოლოო თანხის

²⁵ SPA140010776, SPA140010792, SPA140014544.

²⁶ SPA150007088, SPA150009971, SPA150015434.

²⁷ SPA150007556.

²⁸ 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით: SPA140022824, SPA150034247.

²⁹ 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება, მუხლი 12, პუნქტი 8.

³⁰ SPA150018039.

შესაბამისად დაეზუსტებინა. პრეტენდენტმა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა დადგენილ ვადაში წარმოადგინა, თუმცა კომისიამ მისი დისკვალიფიკაცია მოახდინა. სხდომის ოქმში დისკვალიფიკაციის მიზეზად მითითებულია, რომ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში არ არის განსაზღვრული თანხა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის, 3%-ის ოდენობით.

შპს „ჯორჯიან პლასტიკმა“ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება არც ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთულ ხარჯთაღრიცხვაში წარმოადგინა. სატენდერო კომისიას პრეტენდენტისთვის, ხარვეზის არსებობის შესახებ, თავიდანვე უნდა მიეთითებინა, რაც არ გააკეთა. შპს „ჯორჯიან პლასტიკის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ ხელშეკრულება გაფორმდა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტთან, რამაც სამუშაოს ღირებულება 20.0 ათასი ლარით გაზარდა³¹.

2.4 გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის შესაბამისად³², გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, არ შეიძლება და ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული და არ არის გამოწვეული შემსყიდველის ქმედებით.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში, მუნიციპალიტეტმა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, განხორციელა 25 გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით 109.9 ათასი ლარი³³. მათ შორის, გამგეობამ 3 ხელშეკრულების³⁴ ფარგლებში შეიძინა საბეჭდო ქაღალდი და ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 6.8 ათასი ლარი. აღნიშნული შესყიდვები არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან შესაძლებელი იყო მათი წინასწარი დაგეგმვა და/ან ტენდერის საშუალებით შესყიდვა. მაგალითად:

საკრებულომ 2015 წლის 21 მარტს მიიღო №31 განკარგულება, სოფელ ლიხეთში მდინარე ხეორზე გადასასვლელი ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელებაზე. გამგეობამ, სამუშაოს მიწოდებაზე, შპს „კომუნალური 2009“-სთან №65 ხელშეკრულება გააფორმა 55 დღის შემდეგ. ამ პერიოდში შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებაც შეიძლებოდა.

2.5 დაუსაბუთებლად გადახდილი დღგ

კრიტერიუმი: საგადასახადო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. მსგავსი საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს მსუბუქი ავტომობილების მიწოდებაზე, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილ-ფურგონების ჩათვლით³⁵.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისათვის ტენდერები³⁶ გამოაცხადა და გამარტივებული შესყიდვის

³¹ „შპს „ჯორჯიან პლასტიკის“ საბოლოო ფასი: 205 ათასი ლარი, შპს „არქიტექტურას“ საბოლოო ფასი: 225.0 ათასი ლარი.

³² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ლ“ ქვეპუნქტი.

³³ 2014 წელს - 82.4 ათასი ლარი, 2015 წელს - 27.5 ათასი ლარი.

³⁴ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყიდვის შემდეგ - №42; 2015 წელი - №8,65.

³⁵ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168, პუნქტი 2, „ჟ“ ქვეპუნქტი; მუხლი 168, პუნქტი 1, „ნ“ ქვეპუნქტი.

³⁶ SPA140000136, SPA140020898.

ხელშეკრულება³⁷ გააფორმა დღგ-ის ჩათვლით. გამგეობამ მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება სულ 103.0 ათასი ლარი, მათ შორის, დღგ - 14.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა 2015 წელს 4 ერთეული მიკროავტობუსის შესასყიდად გამარტივებული ელექტრონული ტენდერები³⁸ გამოაცხადა დღგ-ის ჩათვლით, სავარაუდო ღირებულებით 65.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებების შესრულების საკასო ხარჯმა 41.1 ათასი ლარი შეადგინა³⁹.

2.6 საჯარიმო სანქციები

კრიტერიუმი 1: გამგეობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, სამუშაოების ვადების დარღვევისას, როგორც წესი, ითვალისწინებს საჯარიმო სანქციების გავრცელებას. სამუშაოს კალენდარული გრაფიკის და/ან მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, საჯარიმო თანხა იანგარიშება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და აისახება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებში.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში 23 ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხულმა პირგასამტეხლომ 231.0 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან, გამგეობამ 19 ხელშეკრულებისათვის საჯარიმო სანქციები არ გამოიყენა, რის გამოც ვერ მიიღო 63 ათას ლარზე მეტი შემოსავალი, კერძოდ:

- წარმოდგენილი ინფორმაციით, აუდიტის ობიექტმა, 7 ხელშეკრულებისათვის⁴⁰ სამუშაოს შესრულების ვადების გადაცილებაზე მიმწოდებლები არ დააჯარიმა. სანქციების სრულად გავრცელების შემთხვევაში, აუდიტის ობიექტი 9 ათას ლარზე მეტ დამატებით თანხას მიიღებდა. მაგალითად:

- 2014 წელს მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ საკეციაში მიქიაშვილების უბნის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია⁴¹. ხელშეკრულების პირობით, სამუშაო უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 3 ოქტომბერს. 22 სექტემბრის ცვლილებით, აღნიშნული ვადა 20 დღით, 23 ოქტომბრამდე გადაიწია. გამგეობამ ვერ წარმოადგინა მიმწოდებლის წერილი და/ან შესაბამისი სამსახურის დასკვნა, ან სხვა დოკუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა ხელშეკრულების ცვლილების საჭიროებას. წყალსადენის რეაბილიტაცია 23 ოქტომბერს დასრულდა. მუნიციპალიტეტს შეეძლო გამოეყენებინა საჯარიმო სანქცია სამუშაოს 20 დღის დაგვიანებისათვის და დაერიცხა პირგასამტეხლო 1.2 ათასი ლარის ოდენობით.

- გამგეობამ 2015 წლის 3 ივლისის №158 ხელშეკრულებით 2 ერთეული სათიბი მანქანა შეისყიდა. საქონლის მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 23 ივლისი. მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია 21 აგვისტოს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მიუთითებს, რომ საქონლის მიწოდება დასრულდა 12 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ ვადაგადაცილებამ 20 დღე შეადგინა, საჯარიმო სანქცია გამოყენებული არ არის.

³⁷ №4, 22.08.2014.

³⁸ SPA150019328, SPA150034446.

³⁹ მიწოდების რეალური ღირებულება არ გაზრდილა.

⁴⁰ ხელშეკრულებები: №125, 23.05.2014; №126, 23.05.2014; №160, 09.07.2014; №164, 11.07.2014; №151, 18.06.2015; №158, 03.07.2015; №175, 21.07.2015.

⁴¹ SPA140014544.

• გამგეობის მიერ 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით, საჯარიმო სანქციები მიმწოდებლებზე ვრცელდებოდა როგორც სახელშეკრულებო ვადების, ასევე გეგმა-გრაფიკების დარღვევის შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ 12 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებმა სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით არ შეასრულეს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს დაჯარიმების აღნიშნული მექანიზმი არ გამოუყენებია. შესაბამისად, სამუშაოს დაგვიანებისა და შეუსრულებელი მოცულობებისათვის, აუდიტის ობიექტმა ვერ მიიღო 54 ათას ლარამდე შემოსავალი, პირგასამტეხლოს სახით⁴². მაგალითად:

გამგეობამ 2015 წელს შპს „ნდს მშენებლობისგან“ შეისყიდა სოფელ ნიკორწმინდის დამატებითი წყალმომარაგების სამუშაოები, ღირებულებით 311.0 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამუშაოების მიღება-ჩაბარებას დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. კერძოდ, პირველ თვეში შესასრულებელი იყო 62.2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, ფაქტობრივმა შესრულებამ კი 8.8 ათასი ლარი შეადგინა. მეორე თვეში ანალოგიურად დაგვიანდა 124.4 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება და გრაფიკზე ჩამორჩენამ 16.1 ათასი ლარი შეადგინა. სულ, გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის, შემსყიდველს შეეძლო მიმწოდებლისათვის დაერიცხა 3 ათას ლარზე მეტი ოდენობის პირგასამტეხლო, რაც არ განუხორციელებია.

კრიტერიუმი 2: მუნიციპალიტეტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს თანხის მოცულობას ადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას. მიმწოდებელი ჯარიმის თანხას ძირითადად რიცხავს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა, დარიცხული საჯარიმო სანქციებიდან, ვერ მიიღო 172.0 ათასი ლარი. მათ შორის, 2016 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, სასამართლო დავა მიმდინარეობს 23.8 ათასი ლარის დავალიანების გადახდაზე⁴³. წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ერთნაირი მიდგომა საჯარიმო თანხების ჩარიცხვის მხრივ, კერძოდ:

- 7 ხელშეკრულების⁴⁴ ფარგლებში მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 48.8 ათასი ლარის ოდენობით. საჯარიმო თანხა, მიმწოდებლის ნაცვლად, გამგეობამ თავად ჩარიცხა საკუთარ ანგარიშზე.

- აუდიტის ობიექტმა, 7 ხელშეკრულების⁴⁵ შემთხვევაში, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები გააფორმა და ანგარიშსწორება განახორციელა მიმწოდებლების მხრიდან საჯარიმო თანხების გადახდამდე. ანაზღაურების მიღების შემდეგ, მიმწოდებლებმა პირგასამტეხლო აღარ გადაიხადეს. შესაბამისად, 2016 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, გადაუხდელმა საჯარიმო თანხებმა 31.4 ათასი ლარი შეადგინა. საბოლოო ანგარიშსწორების ამგვარი ფორმა, შესაბამისი

⁴² ხელშეკრულებების პირობა ჯარიმის გავრცელებას არა შეუსრულებელ სამუშაოზე, არამედ გრაფიკით გათვალისწინებულ სრულ მოცულობაზე ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც გამოუყენებელი საჯარიმო სანქცია 97 ათას ლარზე მეტია.

⁴³ ხელშეკრულებები: №137, 06.06.2014; №159, 08.07.2014.

⁴⁴ ხელშეკრულებები: №132, 03.06.2014; №138, 11.06.2014; №165, 11.07.2014; №152, 29.06.2015; №153, 29.06.2015; №156, 30.06.2015; №174, 20.07.2015.

⁴⁵ ხელშეკრულებები: №111, 15.05.2014; №137, 06.06.2014; №159, 08.07.2014; №20, 22.10.2014; №31, 18.11.2014; №33, 16.03.2015; №133, 08.06.2015.

დაზღვევის გარეშე, მაღალი რისკის შემცველია, რადგან არ არსებობს კუთვნილი თანხების მიღების საკმარისი გარანტიები.

- გამგეობამ, საბოლოო ანგარიშსწორებამდე, შპს „არქიტექტურასთან“ გააფორმა საჯარიმო თანხების გადახდის გრაფიკები. კერძოდ, სოფელ სადმელის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული №163 ხელშეკრულება შეწყდა, მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების შეუსრულებლობის გამო. მხარეებს შორის 24 დეკემბერს შედგა საჯარიმო თანხის 99.8 ათასი ლარის გადახდის გრაფიკი, რომელიც იწყება 2016 წლის მაისში და სრულდება სექტემბერში. აღსანიშნავია, რომ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 25 დეკემბერს, ხოლო ანგარიშსწორების თანხა 68.0 ათასი ლარი ჩაირიცხა 29 დეკემბერს. გარდა ამისა, გამგეობამ იმავე მიმწოდებელს 2015 წლის 30 ივნისის №157 ხელშეკრულების შესრულებისას გადაუვ გადაა 40.8 ათასი ლარის გადახდა. შესაბამისად, ორივე ხელშეკრულების ფარგლებში აღნიშნული მიმწოდებლისთვის სულ 140.6 ათასი ლარის გადახდაა გადავადებული.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, გადახდის გრაფიკებით შპს „არქიტექტურამ“ ვალდებულია აიღო პირგასამტეხლოს სრულ დაფარვაზე. ამასთანავე, გამგეობა ატარებს დამატებით ღონისძიებებს კუთვნილი თანხების დროულად მისაღებად.

2.7 გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად⁴⁶, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

გამოვლენილი გარემოება: გამგეობამ, 2014-2015 წლებში, გამარტივებული შესყიდვის 154 ხელშეკრულების⁴⁷ ფარგლებში, შეიძინა 1 006.9 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები. დოკუმენტური მტკიცებულებების შესწავლით დგინდება, რომ გამგეობას ფინანსური ანგარიშსწორების დროს გათვალისწინებული აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა. კერძოდ, მიმწოდებლებს ძირითადად წარმოდგენილი აქვთ ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შემდეგი შემთხვევების გარდა:

- ✓ 2014 წელს, 3 ხელშეკრულების⁴⁸ ფარგლებში, 7.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთოდ არაა წარმოდგენილი.
- ✓ 59 ხელშეკრულებისათვის⁴⁹ არ არის ხელფასის ან ტრანსპორტის ხარჯის დოკუმენტები.
- ✓ მიმწოდებლების მიერ შეძენილი საწვავი რაოდენობრივად არ არის გაწერილი კონკრეტული სამუშაოს მიხედვით.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია გამგეობამ შეასრულოს მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები და გამარტივებული წესით შესყიდული სამუშაოებისათვის

⁴⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

⁴⁷ გარდა 2014 წლის 16 ოქტომბერს სტიქიის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გაფორმებული №15 ხელშეკრულებისა.

⁴⁸ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყოფამდე - №№101,102, 112.

⁴⁹ ხელშეკრულებები: 2014 წელი, გაყოფამდე - №№54,55, 58-61, 63, 64, 68-73,76-78,87, 89, 93, 98, 106-109, 111, 128,129,149-152; 2014 წელი, გაყოფის შემდეგ - №№25, 26, 37,42. 2015 წელი - №№43,62,80,85,92,97,99,106-109,115,116,121-123,125,129,136,137,140,162,180.

მოახდინოს ფაქტობრივი ხარჯების ხელახალი გაანგარიშება. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

3. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

ზოგადი მიმოხილვა: 2014 წლის 23 აგვისტოს, სეტყვისა და კოკისპირული წვიმის შედეგად, მუნიციპალიტეტის ჭრებალოს, დადიშის, ჭყვიშის, ბუგეულის და ცახის თემებში ზიანი მიაღდა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. (გზები, ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, გაბიონები, წყალსადენები და სხვ.) საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁵⁰, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტს 892.0 ათასი ლარი გამოეყო. ამასთან, თვითმმართველ ერთეულს გამარტივებული შესყიდვის გამოყენების უფლება მიეცა.

2014 წლის 16 ოქტომბერს ამბროლაურის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „მშენებელი 2006“-თან, ღირებულებით 892.0 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 25 დეკემბერი.

კრიტერიუმი 1: შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება⁵¹. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით⁵², სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

სამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით შესყიდვის დროს, აუდიტის ობიექტი, როგორც წესი, ითხოვს მსგავსი სამუშაოების შესრულების ბოლო 2-3 წლის გამოცდილებას. სამუშაოები უნდა დასტურდებოდეს ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით. ამასთან, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დამკვეთის ერთი დადებითი რეკომენდაცია მაინც.

გამოვლენილი გარემოება: საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალიტეტს მოთხოვნილი დაფინანსება 19 სექტემბერს გამოეყო, თუმცა გამგეობამ ხელშეკრულება 16 ოქტომბერს გააფორმა. ამასთანავე, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილეობა მიიღო საკრებულომ. კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, 2014 წლის 10 ოქტომბერს წერილით მიმართა გამგებელს და რეკომენდაცია გაუწია შპს „მშენებელი-2006“-ს. წერილში აღნიშნულია, რომ საწარმოს ჰქონდა ანალოგიური სამუშაოების ოპერატიულად და ორგანიზებულად შესრულების დიდი გამოცდილება. აუდიტის მიმდინარეობისას, მოადგილემ დამატებით განმარტა, რომ საწარმომ 2006 წელს შეასრულა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ლენტეხის მუნიციპალიტეტში და ააშენა ერთ-ერთი კომპანიის ოფისის შენობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამუშაოების ღირებულების ნახევარზე მეტი - 461.7 ათასი ლარი, შპს „მშენებელი 2006“-ს აუნაზღაურდა ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის⁵³.

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები და მიმწოდებლის შესახებ ინფორმაცია მოიკვლია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში: ხელშეკრულების

⁵⁰ 2014 წლის 19 სექტემბრის №1707 განკარგულება.

⁵¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁵² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 54, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ.ვ“.

⁵³ შპს „კოლხიდმშენი 2011“- 445.8 ათასი ლარი, შპს „მინი 05“ - 15.9 ათასი ლარი.

გაფორმებამდე შპს „მშენებელი 2006“-ს⁵⁴ მონაწილეობა არ მიუღია არცერთი შესყიდვის პროცედურაში. სისტემის მონაცემების მიხედვით, გამოცდილება არც ქვეკონტრაქტორ საწარმოს - შპს „კოლხიდმშენი 2011“-ს გააჩნდა. გამომდინარე აქედან, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მაღალი ღირებულების სამუშაოების მიმწოდებლად შეირჩა სათანადო გამოცდილების არმქონე მიმწოდებელი და ძირითადი ქვეკონტრაქტორი, რაც სამუშაოების ხარისხისა და დადგენილ ვადაში შესრულების მხრივ მაღალი რისკის შემცველი იყო.

კრიტერიუმი 2: გამგეობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისას პრეტენდენტისაგან ითხოვს გამოცდილებას შესრულებული სამუშაოების შესახებ, სპეციალისტების კვალიფიკაციის დადასტურებას და სხვ. მუნიციპალიტეტი თავად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს და იბარებს მომსახურებას, მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: გამგეობასა და შპს „მშენებელი-2006“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ძირითადი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დაევალი მიმწოდებელს. შპს „მშენებელი-2006“-მა თავად შეარჩია და გააფორმა ხელშეკრულება შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“-სთან. ამგვარად, მომსახურების შესყიდვა დააფინანსა გამგეობამ, ხოლო ხელშეკრულება გააფორმა მიმწოდებელმა. შესაბამისად, ხელშეკრულების ფორმა, პირობები და კონტროლის მექანიზმები განსაზღვრა არა დამკვეთმა, არამედ სამუშაოების შემსრულებელმა, რაც რისკის შემცველია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, ქვიშარი-ჭყვიში-ზედა ჭყვიშის სასოფლო გზის რეაბილიტაციისათვის კირქვის ღორღის ფრაქციის შეტანა განისაზღვრა 22კმ მანძილიდან. სხვა მიმდებარე სოფლებისათვის, ინერტული მასალის ზიდვის მაქსიმალური მანძილი 2-დან 12კმ-ის ფარგლებში იცვლებოდა. აუდიტის ობიექტმა ვერ დაასაბუთა, რამ განაპირობა სულ 2937კუბ.მ. ინერტული მასალის მიწოდების ასეთი დაგეგმვა. აღსანიშნავია, რომ ფორმა №2-ში მანძილად მიმწოდებელმა 22კმ, ხოლო ექსპერტიზაზე წარდგენილ დოკუმენტებში 9-10კმ მიუთითა, თუმცა ფორმა №2-ის შესაბამისად ჩარიცხული თანხა და ექსპერტის მიერ დადასტურებული ფაქტობრივი დანახარჯები იდენტურია.

კრიტერიუმი 3: გამგეობასა და შპს „მშენებელი 2006“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 25 დეკემბერი. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განსაზღვრული იყო საჯარიმო სანქცია შეუსრულებელი სამუშაოების 0.02%-ის ოდენობით.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წლის 25 დეკემბრისათვის, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ მთლიანი სამუშაოების 54% - 482.5 ათასი ლარი შეადგინა. 2014 წლის 26 დეკემბერს შპს „მშენებელი 2006“-მა სამუშაოს დასრულების ვადის გადაწევა მოითხოვა 2015 წლის 30 მაისამდე, ცუდი კლიმატური პირობების, მეწყრული მოვლენებისა და ხიდის დაზიანების გამო. მხარეთა შეთანხმებით, 2014 წლის 25 დეკემბრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე სამუშაოების წარმოება შეჩერდა.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განვითარებულ მეწყრულ მოვლენებზე მუნიციპალიტეტს დეფექტური აქტები და გაანგარიშება ზარალის ოდენობის დადგენაზე არ მოუწოდებია. კლიმატური პირობების შესახებ მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს წერილი

⁵⁴ ს/კ 205125620.

გარემოს ეროვნული სააგენტოდან. დოკუმენტის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების 70 კალენდარული დღიდან, ნალექიანი იყო მხოლოდ 23 დღე. გარდა ამისა, სასაქონლო ზედნადებების შესწავლით ირკვევა, რომ კლიმატურ პირობებს მნიშვნელოვნად არ შეუფერხებია სამუშაოების მიმდინარეობა. კერძოდ, ამავე პერიოდში საგზაო სამოსისათვის საჭირო ინერტული მასალის შეტანა სოფლების ნაწილში ინტენსიურად მიმდინარეობდა და მოცდენამ 6 დღე შეადგინა.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, შპს „მშენებელი 2006“-ის მიერ წარმოდგენილი მიზეზები არ შეიძლება ჩათვლილიყო სამუშაოების ვადის გადაწევის საფუძვლად და სრულად უნდა გავრცელებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. ნაცვლად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს პირგასამტეხლო დააკისრა 1 მაისიდან 10 აგვისტომდე ვადაგადაცილების პერიოდზე, თანხით 5.0 ათასი ლარი.

4. მშენებლობის ნებართვები

კრიტერიუმი: მშენებლობის ნებართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ახორციელებს II, III და IV კლასებს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემასა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას⁵⁵. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო სამშენებლო ნებართვის გაცემაზე იღებს შესაბამის სამართლებრივ აქტს, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების შემდეგ.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვები გაცემულია სულ 17 ობიექტზე. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მუნიციპალიტეტში განხორციელებულ 20-მდე ინფრასტრუქტურულ პროექტზე სანებართვო დოკუმენტაცია არ არის ნაწარმოები (ხიდების, საბავშვო ბაღების შენობების, წყალსადენის სისტემების მშენებლობა, გარე განათების მოწყობა, დემონტაჟის სამუშაოები და სხვ.). აღნიშნული სამუშაოები საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას, დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის უგულებელყოფა შეიცავს მიწის საზღვრებისა და საკუთრების ფორმის დადგენის რისკებს. აღნიშნული განაპირობებს ხარვეზებს სამშენებლო ნორმებისა და წესების, ობიექტის ტექნიკური, შრომის უსაფრთხოებისა და სხვა რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებითაც.

რეკომენდაცია: გამგეობამ მშენებლობის ნებართვების გაცემის ვალდებულება დანერგოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო ობიექტისათვის, დაფინანსების წყაროს მიუხედავად. აღნიშნული გამორიცხავს საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს, ხელს შეუწყობს სამშენებლო ნორმების დაცვას, რაც განაპირობებს მშენებლობის პროცესისა და დასრულებული შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციის უსაფრთხოებას.

5. ტრანსპორტი და საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი 1: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით⁵⁶, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს. ამ მოთხოვნის

⁵⁵ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, მუხლი 31, პუნქტი 1.

⁵⁶ მუხლი 10.

დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. ანალოგიურ შეზღუდვას აწესებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი⁵⁷.

გამოვლენილი გარემოება: საკრებულოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ და გამგებელმა 2014-2015 წლებში იჯარის ხელშეკრულებები გააფორმეს გამგეობასთან, მათივე საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მომსახურების მიზნით. 2015 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებულია გამგებლის ავტომანქანის შეკეთების ხარჯებიც, თუმცა ხელშეკრულება ასეთ პირობას არ ითვალისწინებს. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობასა და მოვლა-შენახვაზე გამგეობამ 2014-2015 წლებში კანონშეუსაბამოდ გასწია სულ 18.4 ათასი ლარის ხარჯი. ტრანსპორტის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში⁵⁸:

ცხრილი 3. ინფორმაცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით აღებული ავტომანქანების შესახებ (ლარი)

№	პერიოდი	თანამდებობის პირი	ყოველთვიური ანაზღაურება	სულ გადახდილი თანხა	ტექნიკური მომსახურება	ჯამი
1.	15.07.2014-31.12.2014	საკრებულოს თავმჯდომარე	500	2250	0	2250
2.	15.07.2014-31.12.2014	თავმჯდომარის მოადგილე	200	900	0	900
3.	15.07.2014-31.12.2014	გამგებელი	500	2250	0	2250
4.	05.01.2015-31.04.2015	გამგებელი	500	2000	5423	13023
5.	01.05.2015-31.12.2015	გამგებელი	800	5600		
	ჯამი			13000	5423	18423

კრიტერიუმი 2: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით⁵⁹, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, საშტატო რიცხოვნობის მიხედვით, რეკომენდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული რაოდენობები. დადგენილების შესაბამისად, 2014-2015 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის, უნდა გამოეყენებინა არაუმეტეს 6 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 1 განპიროვნებული და 8 ერთეული სამორიგეო ავტომობილი. 2015 წელს აუდიტის ობიექტის მიერ საქართველოს მთავრობის რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის. კერძოდ, მუნიციპალიტეტი განკარგავდა დასაშვებზე 2 ერთეულით მეტ სამორიგეო ავტომანქანას. 2015 წლის სექტემბრის თვიდან გამგეობა ასევე იყენებდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“-ის მიერ აგვისტოში შეძენილ 2 ერთეულ ავტომანქანას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ტრანსპორტი შესყიდულია გამგეობისა და შპს-ს საერთო სარგებლობისათვის.

რეკომენდაცია: ავტომანქანების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სატრანსპორტო საშუალებების პარკის მართვისა და გამოყენების გეგმა. შეაფასოს არსებული

⁵⁷ მუხლი 66.

⁵⁸ გამგებლის მიერ 2015 წელს მიღებული თანხებიდან გადახდილია საშემოსავლო გადასახადი, 1520 ლარის ოდენობით. ინფორმაცია 2014 წელთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფს არ მოეპოვება.

⁵⁹ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების აუცილებლობა და იმსჯელოს მთავრობის რეკომენდაციის შესრულების შესაძლებლობებზე. თვითმმართველ ერთეულსა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შორის ქონებრივი ურთიერთობები ტრანსპორტის სფეროში დარეგულირდეს სამართლებრივად.

კრიტერიუმი 3: შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“ თვითმმართველი ერთეულისაგან თხოვრების ფორმით გადაცემულ ტექნიკას იყენებს დამატებითი შემოსავლების მისაღებად. კერძოდ, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმო დაინტერესებულ პირს ტექნიკას დროებითი სარგებლობის ფორმით გადასცემს. ტექნიკის ქირა განსაზღვრულია საათობრივად და ანაზღაურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო მრავალთვიანი მომსახურებისას - ყოველი საანგარიშო თვის ბოლომდე. ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის, დამქირავებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით.

გამოვლენილი გარემოება: საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების⁶⁰ საფუძველზე, შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“-ს თხოვრების უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეცტექნიკა, კერძოდ: ბულდოზერი „KOMATSU“, ექსკავატორი „JCB“ და 2 ერთეული გრეიდერი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს დებიტორული დავალიანება 41.1 ათას ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 23.1 ათას ლარს შეადგენდა. შპს ფაქტობრივად არ იყენებს ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციებს. გარდა ამისა, არ არის დანერგილი ანგარიშსწორების საავანსო ფორმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2015 წელს საწარმომ ქირავნობის ხელშეკრულებები გააფორმა ისეთ სუბიექტებთან, რომელთაც გააჩნდათ წინა წლის დავალიანება. მაგალითად, შპს „მშენებელს“ 2014 წელს ერიცხებოდა 12.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. 2015 წელს მასთან ისევ გაფორმდა ხელშეკრულება⁶¹ ტექნიკის ქირავნობაზე. სამეურნეო წელი შპს „მშენებელმა“ 3.0 ათასი ლარის დავალიანებით დაასრულა, თანხა გადაუხდელი იყო 2016 წლის 5 თებერვლის მდგომარეობითაც.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტისა და შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“-ის ხელმძღვანელობის მხრიდან საჭიროა ღონისძიებების გატარება, რათა მკირადლირებული სპეცტექნიკა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული. ტექნიკის დამქირავებლებთან მიზანშეწონილია გადახდის საავანსო და/ან საგარანტიო სისტემის გამოყენება.

კრიტერიუმი 4: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საავტომობილო საწვავის ყოველთვიური ზღვრული ოდენობები დარეგულირებული იყო საკრებულოს სამართლებრივი აქტის საფუძველზე⁶². კერძოდ, 2014 წლის 17 ნოემბრამდე საწვავის გაცემა შესაძლებელი იყო შვიდ, ხოლო შემდგომ საანგარიშო პერიოდში - ოთხ თანამდებობის პირზე.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს, ნაცვლად ოთხი თანამდებობის პირისა, საწვავი გამოყოფილი იყო საკრებულოსა და გამგეობის განკარგვაში არსებულ 8 ავტომანქანაზე. მიღებულ სამართლებრივ აქტში საკრებულოს ცვლილება არ

⁶⁰ 2011 წლის 9 ივნისის №1-077 ბრძანება.

⁶¹ 2015 წლის 30 იანვრის №11 ხელშეკრულება.

⁶² საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №29 და 2014 წლის 17 ნოემბრის №44 განკარგულებები.

შეუტანია. კერძოდ, დამტკიცებული ლიმიტის გარეშე გაცემულია სულ 8.8 ათასი ლიტრი ბენზინი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ცდომილება გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით. კერძოდ, 2014 წლის ნოემბრისათვის თვითმმართველი ერთეულის განკარგვაში იმყოფებოდა მხოლოდ 4 ერთეული ავტომანქანა, რაც საკრებულოს მიერ ლიმიტების შემცირების საფუძველი გახდა. შემდგომ პერიოდში გამგეობას დამატებით გადმოეცა სხვა სატრანსპორტო საშუალებებიც, თუმცა ლიმიტები ფორმალურად აღარ გაზრდილა.

6. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁶³, საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გამოვლენილი გარემოება: საკრებულოს დადგენილებით⁶⁴, საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ ხელფასს, დამტკიცებულია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. 2014-2015 წლებში საკრებულოს წევრებზე თანხები გაიცემოდა თითოეულ სამუშაო დღეზე გაანგარიშებით⁶⁵, ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის. ხარჯების ასანაზღაურებლად სულ გაცემულია 87.2 ათასი ლარი. მათ შორის, 2014 წელს - 22.1 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 65.1 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ თანხების მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად. საკრებულოს წევრებს ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებულ თანხებზე დაუკავდათ საშემოსავლო გადასახადი⁶⁶.

7. ა(ა)იპ-ების დაფუძნება და საქმიანობა

ზოგადი მიმოხილვა: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 14% - 1 868.5 ათასი ლარი⁶⁷ მიმართულია ა(ა)იპ-ების დაფინანსებაზე. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 5 ა(ა)იპ-ი და მათი საშტატო რიცხოვნობა 254-ს შეადგენდა. ამ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული თანხების 65% გამოყენებულია შრომის ანაზღაურების ხარჯების დასაფარად.

კრიტერიუმი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის მუხლით ფინანსდება. სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს.

⁶³ მუხლი 41.

⁶⁴ დადგენილებები: №25, 25.04.2012; №33, 12.09.2014.

⁶⁵ 01.01.2014-დან უფლებამოსილების შეწყვეტამდე: სამუშაო დღეზე 30 ლარი. 12.09.2014-05.01.2015: სამუშაო დღეზე - 50 ლარი, თვეში არაუმეტეს 300 ლარისა, 06.01.2015-23.09.2015: სამუშაო დღეზე - 80 ლარი, თვეში არაუმეტეს 400 ლარისა, 24.09.2015-დან: სამუშაო დღეზე - 80 ლარი, თვეში არაუმეტეს 395 ლარისა.

⁶⁶ საშემოსავლო გადასახადი დაკავებულია 2014 წელს - მუნიციპალიტეტის გაყოფამდე და 2015 წელს.

⁶⁷ მათ შორის 2014 წელს - 744.3 ათასი ლარი, 2015 წელს კი - 1130.4 ათასი ლარი.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად⁶⁸, რომელიმე პროგრამაზე ან პროექტზე ერთზე მეტი დაწესებულების მუშაობის შემთხვევაში, შესაბამისი ხელმძღვანელები წერილობით უნდა შეთანხმდნენ თითოეული მათგანის მენეჯერული ანგარიშვალდებულების მოქმედების სფეროზე.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2015 წლის 26 იანვარს დააფუძნა ა(ა)იპ „პროექტირებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა შენახვის ცენტრი“. 275.0 ათასი ლარის საბიუჯეტო დაფინანსებიდან, ა(ა)იპ-მა წლის მანძილზე დახარჯა 215.0 ათასი ლარი. დამტკიცებული წესდებით ცენტრის ამოცანებად განისაზღვრა:

- ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება;
- შიდა სასოფლო გზების პირველადი მოვლა-შენახვა;
- სოფლების გამართული წყალმომარაგების ქსელის შენარჩუნება და ლოკალური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და სხვ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით ირკვევა, რომ ა(ა)იპ „პროექტირებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა შენახვის ცენტრის“ დებულებით განსაზღვრული მიზნები არ სრულდება. კერძოდ:

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ხარჯთაღრიცხვები ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა მოამზადა. დანარჩენი სხვადასხვა სირთულის ხარჯთაღრიცხვა და პროექტი მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეიძინა, საერთო ღირებულებით - 138.8 ათასი ლარი. 2015 წლის განმავლობაში ა(ა)იპ-ს არ შეუმუშავებია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები და არც შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია შეუდგენია.

- შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებს 2015 წელს ახორციელებდა შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“, რომელსაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და მანქანა-იარაღები. გზების რეაბილიტაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საწარმოს წლის განმავლობაში გაუფორმდა სულ 205.6 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. წესდების შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები უნდა შეესრულებინა ა(ა)იპ-ს, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გაწეული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება ვერ დგინდება.

- წესდების მიხედვით, ა(ა)იპ ასევე ახორციელებდა წყალსადენების ლოკალურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, თუმცა გამგეობამ სასოფლო წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები ტენდერით შეისყიდა და ხელშეკრულება⁶⁹ გაუფორმა შპს „ამბროლაურის კომუნალური-2009“-ს, საერთო თანხით 18.7 ათასი ლარი. გარდა ამისა, საწარმომ ჩაატარა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 140.7 ათასი ლარი.

შეთანხმება ა(ა)იპ-ისა და სხვა იურიდიული პირების ხელმძღვანელებს შორის, საერთო პროექტებზე მოქმედების სფეროს გადანაწილების შესახებ, წარმოდგენილი არ არის.

⁶⁸ მუხლი 7, პუნქტი 2.

⁶⁹ ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 16 მარტს და მოქმედებდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

8. შტატგარეშე მოსამსახურეთა დაქირავება

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად⁷⁰, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით⁷¹, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. საჯარო მოსამსახურეთა ზღვრული საშტატო რაოდენობა ასევე განისაზღვრება კოდექსის შესაბამისად⁷² და ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის 2015 წელს შეადგენდა 109 ერთეულს.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დავალებას და შრომით ურთიერთობებს ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებს. მუნიციპალიტეტმა სრულად აითვისა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი ზღვრული საშტატო რიცხოვნობა. გარდა ამისა, დაუსაბუთებლად დაიქირავა შტატგარეშე მოსამსახურეთა ნაწილი და ძირითად საჯარო მოხელეთა ფუნქციებით აღჭურვა, რითაც არ გაითვალისწინა კანონმდებლობის მოთხოვნები.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა დაარღვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დაწესებული ზღვარიც, შტატგარეშე მოსამსახურეების რიცხოვნობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2015 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა ერთიდან ოთხამდე ერთეულით აღემატებოდა კანონით დადგენილ ნორმას.

9. სოციალური დახმარება

ზოგადი მიმოხილვა: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის გახარჯა სულ 935.1 ათასი ლარი, მათ შორის 2014 წელს - 665.0 ათასი ლარი⁷³ და 2015 წელს - 270.1 ათასი ლარი.

ცხრილი 4. სოციალური დახმარების პროგრამა (ათასი ლარი)

№	პროგრამის დასახელება	2014 წელი	2015 წელი	ჯამი
1.	მოსახლეობის ტრანსპორტით გადაადგილება	3.0	28.9	31.9
2.	ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფა	2.8	2.9	5.7
3.	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	57.6	82.9	140.5
4.	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	17.1	0	17.1
5.	სამედიცინო მომსახურება	56.3	85.5	141.8
6.	სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	528.2 ⁷⁴	69.9	598.1
	ჯამი	665.0	270.1	935.1

⁷⁰ მუხლი 8.

⁷¹ მუხლი 156, პუნქტი 2.

⁷² მუხლი 156, პუნქტი 1.

⁷³ გარდა საჯარო მოხელეებზე გაცემული კომპენსაციებისა.

⁷⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს №1481 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო 423.2 ათასი ლარი.

9.1 სასაქონლო (პროდუქტებით) დახმარება

კრიტერიუმი: საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №57 განკარგულება ითვალისწინებს სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი 10 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების დახმარებას სადღესასწაულო დღეებში. დახმარება გაიცემოდა საკვები პროდუქტების სახით, ერთ ბენეფიციარზე 50 ლარის ფარგლებში. 2015 წელს, აღდგომის დღესასწაულზე დასახმარებლად, სარეიტინგო ქულების მიხედვით, გამგეობამ 88 ბენეფიციარი შეარჩია. ოჯახების დამოწმებული სახელობითი სია თან ერთვის პროდუქტების გაცემის დოკუმენტაციას.

გამოვლენილი გარემოება: ჭრებალოს თემიდან სიაში ირიცხებოდა 11 ოჯახი, 30 წევრით. წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდება, რომ სასურსათო პაკეტი არ გადაეცა 8 ბენეფიციარს და დახმარების გარეშე დარჩა 1000 სარეიტინგო ქულის მქონე 3-სულიანი, 2140 ქულის მქონე 4-სულიანი ოჯახი და სხვ. მათ ნაცვლად პროდუქტები მიიღო პირებმა, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სოციალური სამსახურის მიერ შედგენილ სახელობით სიაში. აღსანიშნავია, რომ დახმარების გაცემის დოკუმენტი არ მოიცავს ამ ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელ სარეიტინგო ქულასა და მიღება-ჩაბარების დამადასტურებელ ხელმოწერებს.

9.2 სათბობი შეშის გაცემა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამასალე მერქნის მწარმოებელმა ასოციაცია „ატუმ“ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს გადასცა 2128მ³ სოჭისა და წიფელის საშემე მერქანი. მოსახლეობაზე სათბობი შეშის განაწილების წესი განისაზღვრა საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით⁷⁵. სამართლებრივი აქტის შესაბამისად, დახმარება გაიცემოდა სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი სარეიტინგო ქულის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთაც არ გაჩნდათ ფინანსური შესაძლებლობა ზამთრის სეზონისათვის საშემე მერქნის მოსამარაგებლად.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციით, სათბობი შეშის მოსახლეობაზე განაწილების პროცესი შეიცავს სხვადასხვა ხარვეზს: ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების განმარტებით, ერთი ბენეფიციარი ადგილზე არ იმყოფებოდა. შვიდმა ბენეფიციარმა, რომლებმაც განცხადებით მიმართეს გამგეობას და ითხოვნდნენ სათბობით დახმარებას, უარი განაცხადა შეშის მიღებაზე. დარჩენილი შეშა გადაეცა სხვა პირებს, ხოლო ნაწილი დასაწყობებულია ბენეფიციარის სახლიდან 50 მეტრში. განხორციელებული ცვლილებები მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ სახელობით სიებში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ ფასდებოდა ახალი ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობა და რა კრიტერიუმების საფუძველზე გადაეცემოდათ საშემე მერქანი: 2014-2015 წლებში მათ განცხადებით გამგეობისთვის არ მიუმართავთ და სოციალური დახმარების არცერთი პროგრამით არ უსარგებლიათ⁷⁶.

აღსანიშნავია, რომ კომისიური წესით დადგენილი სიის 14 ბენეფიციარზე დოკუმენტებით არ დასტურდება დახმარების გაცემა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, 6 ბენეფიციარი არ იმყოფებოდა სოფელში და შეშა ინახება თემის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო 8 ბენეფიციართან მიღება-ჩაბარების აქტები არ გაფორმებულა.

⁷⁵ 2013 წლის 30 დეკემბრის №128 და 2014 წლის 23 დეკემბრის №57 განკარგულებები.

⁷⁶ სამედიცინო პროგრამით ისარგებლა მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა.

10. ქონების განკარგვა

კრიტერიუმი: 2013 წლის მაისში მუნიციპალიტეტმა პირობითი აუქციონი გამოაცხადა სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე 2202 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე⁷⁷. გამგეობამ ელექტრონული აუქციონის პირობებში მიუთითა, რომ მიწის ნაკვეთზე ხელმისაწვდომი იქნებოდა ელ. ენერგიითა და სასმელი წყლით სარგებლობა. აუქციონის პირობების თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში აეშენებინა და აემოქმედებინა თანამედროვე ტიპის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი (რესტორანი).

გამოვლენილი გარემოება: გამგეობამ საპრივატიზებო ობიექტისათვის ელ. ენერგიისა და სასმელი წყლის მიწოდების ვალდებულება აიღო. 2013 წლის 22 მაისს, 11.5 ათასი ლარის გადახდის შემდეგ, გამარჯვებულ სუბიექტზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ქონების მეპატრონემ ვალდებულება არ შეასრულა: ობიექტის მშენებლობა, რომელიც 2014 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო, არც დაუწყო. პირობების დარღვევისათვის, 2015 წლის 17 ივლისს, გამგეობამ გამაფრთხილებელი წერილი გაუგზავნა ქონების შემსყიდველს, რომელიც, არასრული მისამართის მითითების გამო, ფოსტამ უკან დაუბრუნა.

ტრანსფორმატორის შეძენისა და შემოღობვისათვის აუდიტის ობიექტმა 41.5 ათასი ლარის ხარჯი გასწია⁷⁸, თუმცა ვერ მიიღო დაგეგმილი შედეგი. აუდიტის მიმდინარეობისას მფლობელის ვალდებულებები კვლავ შეუსრულებელი იყო. გამგეობის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები არ არის გამოყენებული, რაც საფუძვლად დაედებოდა აუქციონის შედეგების გაუქმებას.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, გამგეობამ დამატებითი ვალდებულებები აიღო კონკრეტულ ტერიტორიაზე ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად. შედეგად, პრივატიზებული ნაკვეთის მიმდებარედ სხვა კერძო პირი უკვე აშენებს საყოფაცხოვრებო ობიექტს. აღნიშნული შესაძლებელი გახდა დაუსახლებელი პუნქტისათვის ელ.ენერგიისა და წყლის მიწოდების გამო.

11. აღრიცხვა-ანგარიშგება, ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი 1: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში ფინანსური ანგარიშგებები არ შეუდგენია. დოკუმენტის არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ვერ ხდება წლიური ფინანსური შედეგების განხილვა, შეჯამება, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარება, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას.

კრიტერიუმი 2: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა უნდა ხდებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშთა გეგმით. პირველად

⁷⁷ საკადასტრო კოდი: 861126142.

⁷⁸ ხელშეკრულებები: №49, 08.04.2015; №169, 14.07.2015.

დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და მთავარ წიგნთან ერთად, წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

გამოვლენილი გარემოება: პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახური არ ახორციელებს ფინანსურ აღრიცხვას. კერძოდ, პირველადი დოკუმენტების საფუძველზე არ აწარმოებს ბუღალტრულ გატარებას, მათ ასახვას ბარათებსა და მემორიალებზე. არ ხდება ნაშთების მთავარ წიგნში გადატანა, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება.

კრიტერიუმი 3: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების⁷⁹ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა. ინვენტარიზაცია იწყება ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა აღწერა სავალდებულოა სამ/ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

გამოვლენილი გარემოება: გამგებლის 2015 წლის 16 ივლისის №530 ბრძანების მიხედვით, ინვენტარიზაცია ჩატარდა 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით გამგეობის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მომრავ ქონებას, ამავე წლის 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე პერიოდში. მუნიციპალიტეტში 2015 წლის ბოლოს ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, რითაც დაირღვა ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნები.

12. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

კრიტერიუმი : „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა სავალდებულოა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სუბიექტის შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო⁸⁰.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შესაბამისად⁸¹, სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია: გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება. სამსახური უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შეამოწმოს აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი. აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს ამტკიცებს გამგებელი, სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელსა და 2015 წლის მაისამდე პერიოდში გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური წარმოდგენილია 2, ხოლო მაისიდან - 3 სამტატო ერთეულით. 2014-2015 წლებში სამსახურმა ჩაატარა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების აუდიტორული შემოწმება, შეიმუშავა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

⁷⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

⁸⁰ მუხლები 4,18.

⁸¹ დამტკიცებულია საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №4 და 2014 წლის 4 ნოემბრის №49 დადგენილებებით.

გამგეობამ ვერ წარმოადგინა შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმები, დამტკიცებული სახით. გარდა ამისა, სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა. გამგეობამ ვერ დაასაბუთა, რატომ არ დაიგეგმა და განხორციელდა აღნიშნული სტრუქტურების შიდა აუდიტორული შემოწმება, რაც სავარაუდოდ შეამცირებდა ფუნქციონირების პერიოდში დაშვებულ ხარვეზებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ჩაფიჩაძე

ხელმოწერა

10.06.2016 თარიღი

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე

ხელმოწერა

10.06.2016 თარიღი

აუდიტორი:

თეა არველაძე

ხელმოწერა

11.06.2016 თარიღი

აუდიტორი:

თათია ამბროლაძე

ხელმოწერა

11.06.2016 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

მამუკა ნიჟარაძე

ხელმოწერა

10.06.2016 თარიღი